



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის  
სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**მისამართი:** თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

**სხდომის დაწყების დრო:** 19:00

**სხდომას ესწრებოდნენ აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, მარიამ კუბლაშვილი, დისტანციურ რეჟიმში: ტარიელ კაკაბაძე, ზურაბ როსტიაშვილი.

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება**

**აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:**

(ა) რუსუდან ლუაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019

წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: **დაკმაყოფილდეს რუსუდან ლუაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ბ) თინათინ მეგრელაძის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: **დაკმაყოფილდეს თინათინ მეგრელაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(გ) სოფიკო გოჩიტაშვილის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: **დაკმაყოფილდეს სოფიკო გოჩიტაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

## **საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება**

წევრები გაეცნენ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ ეკატერინე ბარათაშვილის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ეკატერინე ბარათაშვილის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება.**

## **საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ვახტანგ გაგნიძეს პირად განცხადებას ასოციაციის წევრობის შეჩერების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ვახტანგი გაგნიძის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ.**

## **საკითხი 4. საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე განცხადებების განხილვა**

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) მანანა გელაშვილის 2019 წლის 13 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების წლის ბოლომდე გადავადების თაობაზე;

(ბ) ირაკლი გაფრინდაშვილის 2019 წლის 12 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე გადავადების თაობაზე;

(გ) შოთა ჯანანაშვილის 2019 წლის 13 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მომდევნო წლის თებერვლამდე გადავადების თაობაზე;

(დ) ირინა ბათიაშვილის 2019 წლის 13 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე გადავადების თაობაზე;

(ე) ნოდარ ჯაველიძის 2019 წლის 13 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;

(ვ) თინათინ ბასილაშვილის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე გადავადების თაობაზე;

(ზ) ინგა ბოლოთაურის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე;

(თ) დავით ზურაბაშვილის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე;

(ი) ლაშა წურწუმას 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას დარჩენილი საწევრო დავალიანების გადახდის ერთი თვით გადავადების თაობაზე;

(კ) ნატო ნებიერიძის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე გადავადების თაობაზე;

(ლ) მალხაზ თევდორაძის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე;

(მ) მამუკა ლომიძის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე გადავადების თაობაზე;

(ნ) ნინო დოლაბერიძის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადებას საწევრო დავალიანების გადახდის მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე გადავადების თაობაზე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და განაცხადეს, რომ განმცხადებლების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და განისაზღვროს ერთი კონკრეტული, გონივრული ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ **გადაწყვეტილება**:

(ა) განცხადებები საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 01 ოქტომბრის 18:00;

(ბ) განმცხადებლებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და განსაზღვრულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 15 სექტემბრამდე საწევრო გადაუხდელობის პირთა მიმართ, 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გავრცელება და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 15 სექტემბრამდე საწევრო გადაუხდელო პირთა რაოდენობამ დღევანდელი მდგომარეობით შეადგინა - 84 ადვოკატი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან აღნიშნული დავალიანების მქონე პირებიდან, 13 განმცხადებლის მოთხოვნა საწევრო დავალიანების გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდა და გადახდის საბოლოო ვადად განესაზღვრათ მიმდინარე წლის 1-ლი ოქტომბერი, სამართლიანი და მიზანშეწონილია, 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს მიეცეთ იგივე ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

(ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 15 სექტემბრამდე საწევრო გადაუხდელო პირებისთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 01 ოქტომბრის, 18:00 საათი;

(ბ) წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 16.09.2019 წლის გადაწყვეტილებით 2019 წლის 01 ოქტომბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა;

(გ) აღნიშნულ პირებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

#### **საკითხი 6. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ა(ა)იპ საქართველოს არბიტრაჟა ასოციაციისა და ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განცხადებებს აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განცხადებები შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:** დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ საქართველოს არბიტრაჟა ასოციაციისა და ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განცხადებები აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

#### **საკითხი 7. 2019 წლის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საშემოდგომო ნაკადის მონაწილეთა სიის დამტკიცება**

წევრები გაეცნენ ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საშემოდგომო ნაკადის მონაწილეთა სიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საშემოდგომო ნაკადის მონაწილეთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

#### **საკითხი 8. 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების პროგრამის დამტკიცება**

წევრები გაეცნენ 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების პროგრამას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების პროგრამა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N2).

#### **საკითხი 9. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება**

წევრები გაეცნენ სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N3).

#### **საკითხი 10. 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების ლექტორების დამტკიცება**

წევრები გაეცნენ 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების ლექტორების სიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2019 წლის საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების ლექტორების სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N4).

#### **საკითხი 11. სხვადასხვა**

(ა) წევრები გაეცნენ ნანა ფარჩუკაშვილის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი ვერ გამოცხადდა 2019 წლის 9 ივლისს დანიშნულ ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე და ითხოვდა მიე მიერ გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის საფასურის საფუძველზე, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნანა ფარჩუკაშვილის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ბ) წევრები გაეცნენ მარინე მაზანაშვილის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ ოჯახური პირობების გამო, იგი ვერ გამოცხადდა 2019 წლის 9 ივლისს დანიშნულ ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის საფასურის საფუძველზე, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარინე მაზანაშვილის 2019 წლის 16 სექტემბრის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(გ) წევრები გაეცნენ ოლეგ ფრანგიშვილის განცხადებას საწევრო გადასახადზე შეღავათის გავრცელების თაობაზე, რომელსაც თან ერთვის აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მიერ 2019 წლის 9 აგვისტოს გაცემული ცნობა, რომლითაც

დასტურდებოდა, რომ ოლეგ ფრანგიშვილი არის აბაშის რაიონის სოფელ მარჭალაში მუდმივად მცხოვრები პირი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილია ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებზეც ვრცელდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროს გადახდის ვალდებულება, მათ შორის წევრებზე, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ რეგიონებში. აღნიშნულის დამადასტურებლად მათ უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და რეგიონის საგადასახადო სამსახურიდან გაცემული ცნობა გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შესახებ.

ოლეგ ფრანგიშვილის მიერ საშეღავათო საწევროს გავრცელების მიზნით წარმოდგენილი ცნობა არ აკმაყოფილებს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, მასზე ვერ გავრცელდება აღნიშნული კრიტერიუმით გათვალისწინებული 50%-იანი შეღავათი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ოლეგ ფრანგიშვილის განცხადება, მის მიერ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე საშეღავათო საწევროს გავრცელების თაობაზე. ოლეგ ფრანგიშვილს ეცნობოს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილი ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებზეც ვრცელდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროს გადახდის ვალდებულება.

(დ) წევრები გაეცნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ანრი ოხანაშვილის 2019 წლის 13 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა არჩევის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1-16602/19 წარდგინების განხილვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

აღნიშნული განცხადებით კომიტეტის თავმჯდომარე მიმართავდა ასოციაციის თავმჯდომარეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით ასოციაციისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდებას თაობაზე, რომელიც დაეხმარებოდა კომიტეტს საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ასოციაციის წევრებისთვის მომზადდეს შესაბამისი მიმართვა, იმის თაობაზე რომ ადვოკატთა ასოციაცია იწყებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით ასოციაციის წევრებისგან შესაბამისი პროფესიული



ინფორმაციის შეგროვებას, შესაბამისად ეთხოვით წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ ადვოკატთა ასოციაციას წარუდგინონ კანდიდატებთან დაკავშირებული ინფორმაცია, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 23 სექტემბრისა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების შერჩევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ასოციაციის წევრებისთვის მომზადდეს მიმართვის ტექსტი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ადვოკატთა ასოციაცია იწყებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით ასოციაციის წევრებისგან შესაბამისი, პროფესიული ინფორმაციის შეგროვებას. ეთხოვით წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ ადვოკატთა ასოციაციას წარუდგინონ კანდიდატებთან დაკავშირებული ინფორმაცია, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 23 სექტემბრისა.

2. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე